საქართველოს რესპუბლიკა





ბორის ყურაშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი **ბორის ყურაშვილი**.

ბატონი ბორისი დაიბადა 1912 წლის 13 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ ჯოლევში. დაწყებითი განათლება მიიღო ჯოლევის საშუალო სკოლაში და სწავლა გააგრძელა ახალსენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს, რის შემდეგაც 2 წელი მუშაობდა სოფელ ონოღიის საშუალო სკოლაში მასწავლებლად.

1933 წელს სწავლა განაგრძო თბილსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, 1941-943 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, წარმოებიდან მოუწყვეტლად, იგი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტს, 1945 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში ლაბორანტის თანამდებობაზე და განვლო გზა ინსტიტუტის დირექტორამდე.

ბოლო წლებში იგი იყო ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი და საქართველოს ვეტერანთა საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი.

ბატონი ბორისი ცნობილი მეცნიერია პარაზიტოლოგიის დარგში. იგი არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მრავალი მონოგაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

პარაზიტოლოგიური მეცნიერების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის ბატონი ბორისი არჩეული იყო საქართველოსა და უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად.

ბატონი ბორისი „საქართველოს რესპუბლიკის წითელი წიგნის“ ზოოლოგიის ნაწილის ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორი იყო.

ბატონი ბორისის ნაშრომებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ადამიანისა და ცხოველთა პარაზიტულ დაავადებებთან ბრძოლის მეცნიერულ საფუძველს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდიუმი

ბიოლოგიის განყოფილება